პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N

ქ. ბათუმი _____ იანვარი, 2026 წელი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს :

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, 02/05/2017, სარეგისტრაციო კოდი: 300320000.35.132.016312) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

დადგინდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის ტარიფები შემდეგი ოდენობით:

ა) სატრანსპორტო პლასტიკური ბარათის საშუალებით 1 სტანდარტული მგზავრობა – 0,70 ლარი;

ბ) სატრანსპორტო პლასტიკური ბარათის საშუალებით ნულოვანი ტარიფით მგზავრობა – უფასო.“.

2. დადგენილების მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ მიერ ამ დადგენილების მე-11 მუხლის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, უზრუნველყოს შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისთვის“ უფასო მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სტანდარტული ოდენობის (M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას – 0,7 ლარი) შესავსებად თანხების ანაზღაურება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრთა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო ტარიფების, ფასდაკლების სისტემის და მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

M3 კატეგორიის მუნიციპალურ ავტობუსებში მგზავრობის ტარიფის განსაზღვრა 0,70 ლარით. მგზავრობის ტარიფის ცვლილება გამოწვეულია M3 კატეგორიის მუნიციპალური ავტობუსების ავტოპარკის განახლებით, მარშრუტებს შორის მანძილის გაზრდით და საწვავზე ფასების მატებით. აღნიშნული გარემოებების გამო გაზრდილი ხარჯების ნაწილობრივ კომპენსირების მიზნით მიზანშეწონილია დადგინდეს ახალი ტარიფი, რაც უნდა განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზნით. ამასთანავე, დღეისათვის პრაქტიკულად არ გამოიყენება დადგენილების პირველი მუხლის „ა“, „ბ“ , „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ბილეთები და შეღავათები. აქედან გამომდინარე, მიზანშწონილია დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით მოქმედი ტარიფების და გადახდის საშუალებების გათვალისწინებით, ასევე შესაბამისი ცვლილებით ჩამოყალიბდეს დადგენილების მე-12 მუხლი.

ბ) პროექტის ძირითადი არსი:

M3 კატეგორიის მუნიციპალურ ავტობუსებში მგზავრობის ახალი ტარიფის განსაზღვრა 0,70 ლარის ოდენობით. ასევე ცვლილების მიზანია დადგენილების პირველი და მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით მოქმედი ტარიფების და გადახდის საშუალებების გათვალისწინებით.

ბპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ხარჯებს არ საჭიროებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტი მიმდინარე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე დადებითად აისახება, რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს ზეგავლენას არ ახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

პროექტის მომზადდა შ.პ.ს ბათუმის ავტოტრასპორტთან“ კოსულტაციით

ე) პროექტის ავტორი:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი **რუსუდან ჟოჟაძე**